

ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“
(ბათუმის მასწავლებლის სახლი)
აცხადებს ტრენერთა შესარჩევ კონკურსს
შემდეგი მიმართულებებით:

1. სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება:

- საქმისმწარმოებელი
- ბიბლიოთეკარი

2. ინკლუზიური განათლება

✓ მიზნები

- განათლების სფეროს ერთ-ერთი პრიორიტეტი საგანმანათლებლო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარებაა. ადმინისტრაციული კადრების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებით ხელს შევუწყობთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში მართვის თანამედროვე, ეფექტური სტრატეგიების დანერგვას.
- ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამიტომაც გასაძლიერებელია სკოლის ბიბლიოთეკარის როლი მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საქმეში; გასავითარებელია სკოლის საქმისმწარმოებელის ეფექტური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- ინკლუზიური განათლების მიზნებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობა, მათი სოციალური ინტეგრაცია, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. სკოლამ სათანადო პირობები უნდა შექმნას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი სულიერი სამყარო, დაიცვან საკუთარი აზრი, უფლებები და პიროვნული ღირსება.

✓ სამუშაოს აღწერა

სკოლის პერსონალის (საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი) პროფესიული განვითარების ტრენინგების ძირითადი მოვალეობები:

- სკოლის პერსონალის (საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი) პროფესიული განვითარების პროგრამის შესაბამისი მიმართულების ტრენინგის ჩატარება გაწერილი მოდულის მიხედვით;
- ტრენინგის მონაწილეთა რეგისტრაცია;
- სატრენინგო მასალების გადაცემა;
- ტრენინგზე დასწრების აღრიცხვის წარმოება;
- წერილობითი ანგარიშების წარმოდგენა;

ინკლუზიური განათლების ტრენერის ძირითადი მოვალეობები:

- ტრენინგ-მოდულების ჩატარება ინკლუზიურ განათლებაში ზოგადი განათლების პედაგოგებისათვის და ტრენინგ-კურსის ჩატარება სპეციალურ პედაგოგებში;
- პედაგოგთა ინდივიდუალური კონსულტირება კონკრეტული მოსწავლის შემთხვევასთან დაკავშირებით;
- ტრენინგის მონაწილეთა რეგისტრაცია;
- სატრენინგო მასალების გადაცემა;
- ტრენინგზე დასწრების აღრიცხვის წარმოება;
- წერილობითი ანგარიშების წარმოდგენა;

✓ **საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

**საქმისმწარმოებლის პროფესიული განვითარების ტრენერის
ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- „საქმისმწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №414 ბრძანებულების ცოდნა
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Office
- ზრდასრულთა განათლების პრინციპების ცოდნა
- მასწავლებლისა და დირექტორის სტანდარტის ცოდნა
- ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნა
- სასურველია შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
- სასურველია ტრენერად მუშაობის გამოცდილება

**ბიბლიოთეკარის პროფესიული განვითარების ტრენერის
ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნა
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების დებულება (პროექტი)
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Office
- ზრდასრულთა განათლების პრინციპების ცოდნა
- სასურველია შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება
- სასურველია ტრენერად მუშაობის გამოცდილება

**ინკლუზიური განათლების ტრენერის
ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი პედაგოგიური ან ფსიქოლოგიური განათლება;
- შესაბამისი პროფილით მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის და განხორციელების გამოცდილება;
- ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნა - თავი V „ინკლუზიური განათლება“ ;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Office;
- სასურველია ინკლუზიური განათლების საკითხებზე ტრენინგების ჩატარების გამოცდილება.

✓ ტრენერის პიროვნული მახასიათებლები

- კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი
- საპრეზენტაციო უნარები
- არგუმენტირებული მსჯელობის/საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი
- ორგანიზებულობა/პუნქტუალობა და პასუხისმგებლობის გრძნობა
- მოტივირებულობა და საკმარისი დრო პროგრამაში მონაწილეობისთვის;
- ენერჯიულობა.

✓ ანგარიშგება

ფონდის მიერ დაქირავებული ტრენერი ანგარიშვალდებულია ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“-ს დირექტორის, მისი მოადგილისა და პროგრამის კოორდინატორის წინაშე.

✓ კონკურსის ორგანიზება და მისი ეტაპები

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

- ა) შერჩევა ელექტრონული განაცხადების ანალიზის საფუძველზე;
- ბ) ინდივიდუალური გასაუბრება;

გ) ტრენერთა ტრენინგი -TOT, ინდივიდუალური დავალების შესრულება და შეფასება;

კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“ -ს მიერ დადგინდება და გამოქვეყნდება დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები.

✓ კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ავტობიოგრაფია (CV)
- სამოტივაციო წერილი

კონკურსის პირველ ეტაპზე დოკუმენტაციის წარმოდგენისას სათაურის ველში უნდა მიეთითოს სასურველი მიმართულება.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს დოკუმენტაცია გამოაგზავნოს მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით, მხოლოდ ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com

✓ კონკურსის პირველ ეტაპზე დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა

განაცხადები მიიღება 2016 წლის 18 იანვრიდან და 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ადმინისტრაცია დაუკავშირდება მხოლოდ მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებს.

✓ კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელი პირი

ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე)

საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66.

ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“ (ბათუმის მასწავლებლის სახლი)

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121

ტელ.: 24 84 80

ელ-ფოსტა: ajaraedufund@gmail.com